შინაური საქმეები.

ყოველ-კვირეული გაზეთი

№ 17.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 6 მაისი 1912 წელი

ყოველ-კვირეული გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში, სიმონიანცის შუშის მაღაზიაში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	ნახ. წლით:	სამი თვით:	ერთი თვით:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მომწერთათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თავიდგან 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტიტით სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: 1) ბ. გეგეჭკორი და საქართველოს ეკლესია; 2) უგუნური გამოსარჩლება—სეფეველელისა; 3) სიტყვა 23 აპრილს—დეკ. კ. ცინცაძისა; 4) მატერიალიზმი; 5) ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად—№-სა; 6) ა) მღვდლის მიხეილ ჯაფარიძის გადაცვალების გამო ბ) მღვ. ერეკლე აბაშიძის სიტყვა; 7) შორაპნის საბლაღოჩინო სამღვდელოების კრება—დამსწრესი; 8) შემოწირულება—ა. გორგაძესი; 9) წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. გეგეჭკორი და საქართველოს ეკლესია.

მას შემდეგ რაც „კოლხიდელებმა“ ჰკუა ასწავლეს შესახებ საქართველოს ინტერესების გამოქომაგებისა სახ. სათათბიროში, ბ. გეგეჭკორი პირველად გამოდის ამ როლში და გამოდის იმ მხრით, რომელი მხრითაც უფრო ეზიზღება და ეძაგება მას თავის სამშობლო, ე. ი. ეკლესიის მხრით.*) დიდი სასწაული უნდა მომხდარიყო ბ. გეგეჭკორის ტვინის უჯრედებში ([illegible] ბ. [illegible] [illegible]ღიით), რომ საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცველათ გამოსულიყო ეს ბუმბერაზი ქართველი ესდეკი სახალხო ტრიბუნაზე. მაგრამ ეს არ მოხდა. ბ. გეგეჭკორმა საქართვე-

*) იხ. „Звѣзда“ № 150 1912 წ.

ლოს ეკლესია გაიხადა მხოლოდ საბუთად, რომ ზედმეტი ლაფი გადაესხა არსებულ საერო და საეკლესიო წესწყობილებისათვის, რომ გაელანძღა და გაეუპატიურებია არა თუ ეკლესიის მმართველები, არამედ თვით ეკლესიაც. „**მე, რასაკვირველია, არ გამოვალ საქართველოს ეკლესიის დამცველად, ეს ჩემი მხრით ულოლიკობა იქნებოდა. მისთვის რომ, ჩვენ, ქართველი სოციალდემოკრატები, ვებრძვით საქართველოს ეკლესიას და ბრძოლა შემდეგშიაც გაგრძელდება იმავე ღონისძიებით, რომლითაც ჩვენი ამხანაგები ებრძვიან რუსეთშიო,**" ამბობს თავის სიტყვის შესავალში ბ. გეგეჭკორი და ამის შემდეგ მოყვება და აღნიშნავს სხვადასხვა უსამართლობას, რომელიც თავს გადახედია საქართველოს ეკლესიას და რომელიც არა ერთხელ წაგვიკითხავს და გაგვიგონია სხვადასხვა გაზეთებიდგან. მაგრამ რაღა გემო აქვს ამ მოყოლას, თუ არა ის, რომ თავის დემოკრატული გული მოიფხანოს, ყველაფერი დაგმოს და გაანადგუროს, რომ მით უფრო ბრწყინვალე შარავანდედით შემოსოს თავის ცეტი უტოპისტური მიმართულება. ბ. გეგეჭკორი ულოლიკობას ერიდება და არ გამოდის საქართველოს ეკლესიის დასაცველად, მაგრამ უმეტეს ულოლიკობაში ვარდება, როდესაც სხვას უკიჟინებს იმის განადგურებას, რაც თითონ სძაგს, რის არსებობაც მას ვერ მოუთმენია. ბ. გეგეჭკორს არ უნდა საქართველოს ეკლესიის არსებობა, მაშ სულ ერთი არ არის ვინ ამოართმევს მას სულს? რაღათ ძრახავს სხვას? უეჭველია ამ სხვაში ვერ ხედავს თავის ერთგულ მომხრეს საქართველოს ეკლესიის განადგურების საქმეში, თორემ დიდის სიამოვნებით გადახვევდა ხელს. მაგრამ არა, თვით მას და მის ქართველ მომხრეებს უნდათ ამოხადონ სული [illegible] ეკლესიას, წაართვან ის, რაც სულს უდგამს მას (ეკლესიას), წაართვან ქრისტე, წაართვან ღვთაება. უპირველესი და უსაშიშრესი გამანადგურებელი მტრები ეკლესიისა, სწორეთ რომ ესდეკები გახლავან, და თუ ამ ბოლოს დროს ბევრი რამ განძეულობა დაიკარგა საქართველოს ეკლესიიდგან, ეს სულ მათი ღვთისწარმოუხსნილი ქადაგების ბრალია. ნათლად მეხატება თვალწინ ის ძალდატანება, ქირდვა, სიწმიდის შეგინება და სიწმიდის მპარაობა, რაც ბატონმა ესდეკებმა ჩაიდინეს დროსა მას თავის მეფობისასა. რამდენი ხატი გაგლიჯეს, რამდენი ეკლესია გასტეხეს, შეაგინეს, წაბილწეს და ეს სულ ბ. გეგეჭკორების და კომპანიის ქადაგების გავლენის ქვეშ. გავიხსენოთ თუ გინდ უკანასკნელი გაგლეჯა გელათისა. გარდა საღვთო ნივთებისა, მათ ხომ არც ეროვნული განძი დაინდვეს, მათ გაიტაცეს უბრალო, მაგრამ ისტორიულ-არხეოლოგიური მხრით ფასდაუდებელი ბეჭედი დავით აღმაშენებლისა, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ოცდახუთ მანეთს ზევით ვერ გაყიდდენ, მაშინ როდესაც ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანე და მამულიშვილი ას-ორას მანეთსაც არ დაიშურებდა, რომ გამოეყიდა მათგან ეს ეროვნული განძი. ბ. გეგეჭკორი და მისთანანი ვერ მიმხვდარან, რომ მათი ქადაგება, ამრავლებს ჩვენი ეკლესიის გამანადგურებელ ელემენტებს, თუ მიმხვდარან და განძრახ ამრავლებენ ასეთ ელემენტებს.

რუსის ექსარხოსებმა რომ ბევრი წინდაუხედველობა გამოიჩინეს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში, ეს ეჭვგარეშეა, მაგრამ მართლა რომ აღამახმედ ხანს იმდენათ არ შეულახავს ქართველების სარწმუნოება და სარწმუნოებრივი ჩვეულებანი, რამდენათ ესდეკებმა ჩაიდინეს ეს რამდენიმე თვის განმავლობაში, და ამის შემდეგ რა უფლება აქვთ ბ. ბ. ესდეკებს და მათ ლიდერებს, სხვას უკიჟინონ ის ბარბაროსობა, რაშიდაც თითონ არიან დამნაშავენი?! ასეთი კაცების აბლაკატობა არ ეჭირვება საქართველოს ეკლესიას და ღმერთმა დაიფაროს იგი მათი მფარველობისაგან!

გეგეჭკორი [illegible] ეკლესიას და მასთან თავი ხალხის მომხრეთ მოაქვს, ამაყობს თავის სახელით, და სრულიად არ ჩაკვირვებია რომ ეკლესიას იგივე ხალხი შეადგენს და როცა ეკლესიას ებრძვის, თუ ბრძოლას აპირებს, თვით ხალხს ებრძვის და არა ქარის წისქვილებს, თვით ხალხის რწმენას, ვიტყვით უმე

ტესს, მისი სულის და გულის წინააღმდეგ მიდის. ბატონ გეგეჭკორს დავიწყებია ის „ზაკონ ბოჟიც" კი, რომელიც გიმნაზიაში უსწავლია და აბა რაღა ვკითხოთ ეკლესიის შინაგანი არსებისა და მიმართულებისა. „გავჰყოთ ეკლესია სახელმწიფოსგანო" გაიძახის და არ გრძნობს, რომ ეს გაყოფა თვით ხალხის გაყოფას, ხალხის თავის თავზე გალაშქრებას ნიშნავს. ხალხი ეკლესიას შეადგენს, იგივე ხალხი შეადგენს სახელმწიფოსაც და აბა გვიბრძანეთ რანაირათ შეიძლება მათი დანაწილება? ეკლესია და სახელმწიფო, ორივე ხალხისთვის არის გაჩენილი, ორივე ხალხს უნდა ემსახურებოდეს. ერთი უნდა ზრდიდეს სულიერად, ხოლო მეორე უზრუნველ ყოფდეს მის მყუდროებას. რა აქვს ერთმანეთში საბრძოლველი ეკლესიასა და სახელმწიფოს, თუ იგინი თავის მიზანს ემსახურებიან?

მაგრამ კარგათ გვესმის ბ. გეგეჭკორის მუცლის ტკივილი, მას არ უნდა ეკლესიის წარმომადგენელნი ჯამაგირს ღებულობდენ სახელმწიფო კასიდან, მაგრამ მაშინ ნურც საერო წარმომადგენელნი აიღებენ ამას, ნურც ბ. გეგეჩკორი აიღებს დღეში თუმანს, თუ ეს მოსახერხებელია. და თუ ყველამ თავის საშრომელი უნდა აიღოს, მაშინ რა დააშავა ეკლესიის წარმომადგენელმა? თუ ჯირკის პროპაგანდისტებსაც კი უზომო ჯამაგირი ეძლეოდათ თავის დროზე თავის შრომისათვის (?!), განა სოფლის მღვდელი იმათზე ნაკლებს შრომობს? მართალია თქვენ და თქვენი თანამოაზრენი მღვდლის საქმეს არაფრათ აფასებთ და არაფრათ მიგაჩნიათ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ თქვენისთანა განვითარებული ტვინის პატრონი ბევრი არავინ არი, თუმცა საჭიროების დროს ხანდიხან თქვენც იძულებული ხდებით ღვდელთან მიირბინოთ.

ოღონდ ბარბაროსულ ზომებს ნუ მიმართავთ, ბატონო დეპუტატო, ოღონ ნერონ-დიოკლიტიანების დროებს ნუ დაგვიბრუნებთ და რამდენიც გინდათ, იმდენი ებრძოლეთ ეკლესიას. ეკლესია, ის სილი კლდეა, რომელზედაც ბევრ თქვენისთანა წარჩინებულებს მოუტეხია შუბლი. მას 250 წელიწადი ებრძოლა, ერთი მუჭა ესდეკები კი არა, მთელი მსოფლიო რომის იმპერია, მაგრამ რა მოხდა? თვით ეს მებრძოლი ბუმბერაზი დაემხო და დაემორჩილა ეკლესიას. დაე ჯამაგირებიც მოგვისპონ ეკლესიის წარმომადგენლებს, ამით არ მოკვდება ეკლესია. განა ბევრი ეძლეოდა ჯამაგირი ძველ სარწმუნოების გმირებს?

იბრძოლეთ, ბ. გეგეჭკორო, რამდენიც გნებავთ; იცოდეთ, ჩვენ, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს, არ გვეშინია თქვენი ბრძოლის, ჭეშმარიტება ყოველთვის თავისას გაიტანს, მხოლოდ გთხოვთ ნუღარ ინებებთ საქართველოს ეკლესიის გამოსარჩლებას, რომელიც თქვენ გძულსთ, რომლის არსებობას თქვენ ვერ თმენულობთ. ეს იმის მსგავსია, ეშმაკი რომ ქრისტეს ჯვარს გამოესარჩლოს, ნუ ამტვრევთ მაგას, მე მაცალეთ, მე უნდა დავლეწო იგიო. „ფიცხელ არს შენდა, ბატონო დეპუტატო, წიხვნად დეზისა", ვერ შემუსრავ საქართველოს ეკლესიას, რომელიც ვერ შემუსრა 15 საუკუნის დაუწყნარებელმა ქარიშხალმა და თვით დამარცხდებით უგნურ ბრძოლაში.

უგუნური გამოსარჩლება.

სულიერი სიამოვნება და კმაყოფილება გეფინებათ მთელ არსებაში, სადაც თქვენს ნაწერ შრომას არჩევს მეორე პირი კრიტიკული ობიექტივობით და პირუთვნელ მსჯავრსა სდებს ყველაფერს, რაც კი დასაწუნი, დასაგმობი და უარსაყოფია თქვენს ნამუშავარში. სამაგიეროდ სევდითა და ვარამით გევსებათ გული, როდესაც თქვენს წინააღმდეგ გამოდის დილეტანტი და საქმის უვიცი.

ასეთი ვარამი გვაგრძნობინა პედაგოგიურ ჟურნალ **„განათლების"** ამ წლის აპრილის ნუმერში მოთავსებული შინაური მიმოხილვის ავტორის მსჯელობამ ჩვენი წერილის შესახებ „ბ. გომართელი და ასტრონომია"*)

„განათლების" შინაური მიმომხილველი ხოტბა-დიდების შესხმით იხსენიებს გომართელს, იგი ბძანებს: „ბ. გომართელი, ეჭვს გარეშეა,

*) იხ. ,,შინაური საქმეები" № 10

ერთი იმ ფრიად იშვიათ ნიჭიერ ადამიანთაგანია, რომელიც, რა საქმესაც ჩაუჯდება და ხელს მოკიდებს, მას მოკლე ხანში შეისწავლის ისე, რომ ზოგ სპეციალისტებსაც კი არ ჩამოუვარდება და ამიტომ ამისთანა ნიჭიერი კაცის ღვაწლი და მუშაობა არა თუ გასაკვირია, პირიქით ქებისა და მოწონების ღირსია... ბ. ივ. გომართელი შარშან, როდესაც მთელი წლით დატუსაღებული იყო, შეუდგა ასტრონომიის შესწავლას, რის შესახებ ქართულად არაფერი მოგვეპოვება, მან დასწერა მოკლედ და გარკვევით ვრცელი სტატია ამ საგანზე აწინდელის მეცნიერულის მეთოდისა და საუკეთესო მეცნიერთა შეხედულობის კვალობაზე. ეს ხელნაწერი მასალა მან წარუდგინა „ნაკადულის“ რედაქციის დასასტამბავად. ყველა სიამოვნებით მიეგება ნიჭიერი ავტორის ამ ახალ ნაშრომს, რომელიც შედარებული და შემოწმებული იქმნა საუკეთესო ასტრონომების ნაშრომთან; ზოგმა ის აზრიც გამოსთქვა, რომ ცალკე წიგნად დაბეჭდილიყო და პრემიად მისცემოდა „ნაკადულის“ მკითხველებს, რადგანაც ასტრონომიის შესახებ ჩვენ აწინდელი მეცნიერების მოთხოვნილების კვალობაზე არაფერი გვაქვს. ბ. გომართელის სტატია, ყველასთვის გასაგებად დაწერილი, საუკეთესო სახელმძღვანელო იქნებოდა სახალხო შკოლის მასწივლებელთათვის, რომელნიც მოვალენი არიან, როგორც მოწაფეებს, ისე ხალხსაც გადასცენ მეცნიერთა შეხედულობა ამ საჭირო საგანზე“...

ჩამკირე, თავდაყირა დამკიდე, ჩემო მკითხველო, და მე კი ვერ დავეთანხმები „განათლების მიმომხილველს და ვერას გზით ვერ მოუწონებ ჩვენი დროის განათლებულ ქართველ ექიმს ერთსა და იმავე დროს ექიმობას, ასტრონომობას, მსაჯულობას, კრიტიკოსობას, ფილოსოფოსობას და სხ. პირიქით ჩემი აზრით, თანამედროვე ქართველი ექიმის ამგვარი მოღვაწეობა ყოველი შეგნებული, ჭკუა ფხიზელი და ხალხის მოყვარული ქართველისაგან უსათუოდ დაგმობილი, გაკიცხული და უარყოფილი უნდა იქნას.

სრული სიმართლეა, რომ „ასტრონომიის შესახებ აწინდელი მეცნიერების მოთხოვნილების კვალობაზე არაფერი გვაქვს ქართულ ენაზე, მაგრამ განა ეს გასამართლებელი საბუთია იმისა, რომ ქართველმა ექიმმა თუ გინდ ერთი წამი გამოსწიროს თავისს პირდაპირ მოვალეობას გარეშე საქმის სასარგებლოთ? ხალხში გასავრცელებელი სამედიცინო ფურცლები და წიგნაკები კი ბევრი მოგვეპოვება ქართულ ენაზე? არსებობენ ქართულად დაწერილი სოფლის მასწავლებელთათვის პოპულიარული სამედიცინო და საგიგიენო ლექციები, მოიპოვება ქართულ ენაზე ხელში ასაღები სახელმძღვანელო თავის მოვლის შესახებ ან მედიცინური თვიური ჟურნალი? არა, არა და არა! განა მედიცინაში კი უმეტესად არიან გაწაფულები სოფლის შკოლის მასწავლებლები, მოწაფენი და სოფლის ხალხი, ვიდრე ასტრონომიაში? ნუ თუ „განათლების“ თანამშრომლისათვის უცნობია ჰიგიენის მხრით ქართველი ერის ის თავმოსაჭრელი ველურობა, რომ საქართველოს მკვიდრთა დიდი ნახევარი დღესაც, ამოჰყრის თუ არა გახურებული თონიდან პურს, ცხელ თონეში იბერტყავს საცვლებს და თუ ყურებში თითი არ დაიცვი, ბუგრთა ტკაცი ტკუცს ვერ გაუძლებ?! ნუ თუ ვისთვისმე უცნობია, რომ სოფლის ხალხი მგლის თვალით უყურებს განათლებულ ექიმებს და მასსაში ექიმობას ეწევიან მკითხავები, დედაბრები, დალაქები და მეცხვარეები? ნუ თუ ნასწავლ ქართველ ექიმს, თუკი სულ მცირე ნაპერწკალი მაინც ჩარჩენია გულში ხალხის სიყვარულისა, შეუძლიან მოსვენებით ცხოვრება, როდესაც ხედავს, რომ მედიცინური უმწეობის გამო სოფლის ქართველობას მძიმე ავადმყოფთა სანატორიუმად პირუტყვების ბოსელი მიუჩნევია და ეს უცნაური ქსენონი საოცარი სისწრაფით ალჩობს და აქრობს ბედშავი ხალხის სიცოცხლეს? ბატონებო, თვალი გადაავლეთ, რა სისწრაფით ივსებიან დასავლეთ საქართველოში სოფლის ფართო სასაფლაოები, ბანიდან მაინც ჩაიხედეთ და შეიტყვეთ, რა ვაება ტრიალებს აღმოსავლეთ საქართველოს მიწურ გომ-დარბაზებში, გაიგეთ, რა უწყალოთ იჟუჟება ხალხი საინგილოში,

დათვალეთ, აკვანი უფრო მეტია, თუ მიცვალებულთა კუბო ყოველ დღე ფშავ-ხევსურეთში და გვიბძანეთ, რითი ავხსნათ, რომ ამ გვარ პირობებში ქართველი ექიმები დროს პოულობენ ასტრონომიურ გამოკვლევათა წერისათვის?

სიცოცხლე, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა პირველი და უდიდესი ღირებულობაა ქვეყნიერობაზე, ყველაზე მეტად და პირველად სიცოცხლისთვის უნდა ზრუნავდეს ჭკუაზე მყოფი ადამიანი; შეგნებულ საზოგადოებაში ყველაფერი უსათუოდ ერის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისაკენ უნდა იყოს მიმართული და თქვენ თითონ ბძანეთ, რამდენად მოსაწონია იმ განათლებული ქართველი ექიმის საქციელი, რომელიც ხედავს, რომ მისი სამშობლოს მკვიდრთ სული სძვრებათ. შეგნებული ექიმობის უვიცობით, რიგიანი წამლობის უცოდინარობის გამო, ერთი გარეშე სახმარებელ წამლათ ძროხის შარდსა ხმარობს და დასალევათ ძაღლის ექსკრემენტს და ყველა ეს ისე ჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენება ექიმს, რომ არ ღელდება სულით და ვითომდა სასარგებლოდ მოღვაწეობს, გართული ფილოსოფიური, ასტრონომიული, ისტორიული და კრიტიკული ეტიუდების წერაში!

რითი მტკიცდება ამ შემთხვევაში ექიმის მხრივ ერის სიბრალული, ხალხის სიყვარული, გაჭირვებულთათვის თავდადება? განა ქართველი ერის დღევანდელ მდგომარეობაში შეგნებულ ქართველ ექიმს აქვს რაიმე ზნეობრივი უფლება თავში გაივლოს სხვა რამე აზრი გარდა ხალხის ექიმობისა, ხალხის მკურნალობისა, ხალხში მედიცინური სინათლის ოდნავად მაინც არის შეტანისა? ჩვენი ერი ქართველი ექიმებისათვის ჯერ ისევ ხელუხლებელი და გაუტეხელი ტყეა, ჯერ ქართველ ნასწავლ ექიმობას პირველი კვალიც არ გაუვლია ჩვენი სოფლების ცხოვრებაში. ქართველ დიპლომიან ექიმებს მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ერთი უბრალო აბანოც ვერ დაუარსებიათ რომელიმე სოფლის საზოგადოებისათვის, რომ თვეში ერთხელ მაინც დაიბანოს კაცმა ტანი, ქართველ ექიმებს ჯერ არა დაუწერიათ რა და არა მიუციათ რა ერისათვის ჯანმრთელობის შესახებ, ქართველი ერის და ექიმთა შორის ღრმა ხრამია გათხრილი და განა ამ ხრამის ამოვსება კიდევ დროს დაუტოვებს სვინიდისიერს და ერის მოყვარულ ექიმს ასტრონომიულ გამოკვლევათა საწერად? არა, ჩვენი შეხედულობით, ექიმი, რომელიც მთლად ექიმობას არ ადგია და ათასგვარ მოღვაწეობას ეწევა, ღალატობს ერს, ათახსირებს და მნიშვნელობას უკარგავს საკუთარ პროფესიას. ჯერ სიცოცხლე მერე ასტრონომია, ჯერ კარგად ყოფნა—მერე ფილოსოფია, ჯერ ტანის მოსვენება მწვირესა და კბენარისაგან,—მერე გონების განვითარება. ამას მოითხოვს ქართველი ექიმებისაგან ჩვენი ერის დღევანდელი სალი ლოღიკა და სწორეთ უცნაურობაა **პედაგოგიური ჟურნალის მხრივ** თავგამოდებული აგიტაცია და წაქეზება ქართველი ექიმებისა დილეტანტობაზე, წყალ-წყალობაზე და შავ გროშებად დახურდავებაზე!

გადავიდეთ ახლა პირდაპირ საკამათო საგანზე, ასტრონომიაზე.

ჩვენ დაუწუნეთ ბ. გომართელს შრომის ის ნაწილი, რომელშიაც მას გატარებული ჰქონდა შემცდარი და შეუწყნარებელი ტენდენცია ქვეყნის გაჩენისა და აღორძინების შესახებ თავის თავად, დამოუკიდებლად პირველ-მიზეზისაგან, გარეშე გონიერი ძალისა, გარეშე შემოქმედი პირადი ღვთისა. ვამტკიცებდით და ბეჯითად ვამტკიცებთ, რომ ასეთი დებულება უარყოფილია მეცნიერთაგან, ყველა გამოჩენილ მეცნიერთ ქვეყნიერობის დასაბამად, პირველ-მიზეზად და შემოქმედად მიაჩნიათ ღმერთი და ამის თვალსაჩინ-საყოფლად ვიმოწმეთ, სხვათა შორის, ასტრონომები: კეპლერი, ფარადეი, ვატსონი, გერშელი, ფლამარიონი, დავით ჯილი, ედმუნდ უტტეკერი, ვალტერ მაუნდერი, ჯონ ელლარდ პორი, საუნდერი, სიმონ ნიუკომბი, კრომმელინი და სხვები.

„განათლების“ მიმომხილველი გვარწმუნებს, რომ ბ. გომართელის სტატია ასტრონომიის შესახებ „შედარებული და შემოწმებუ-

ლი იქმნა საუკეთესო ასტრონომების ნაშრომთან და იმდენად სად მეცნიერულ მეთოდზეა დაწერილი, რომ მისი წაკითხვა და შეგნება სასურველ ცოდნას მისცემს მკითხველს და „ნაკადულის“ რედაქციაც, ჩვენის აზრით, კარგად იქცევა, რომ ამ გვარ სამეცნიერო წერილებს ადგილს უთმობს ჟურნალში და ყმაწვილებს აწვდის ნამდვილ მეცნიერულ აზრებს და არა ლეგენდარულ სამეცნიერო ცნობებსო“ და სხვ.

ასეთი რწმუნების შემდეგ ორში ერთი უნდა ვიგულისხმოთ: ან ჩემგან დასახელებული ასტრონომები სულ გლახები, უვიცები და მეზღაპრეები ყოფილან და „ნაკადულის“ რედაქციის წევრებს ვერ უცვნიათ მათი მეთოდი მეცნიერულ მეთოდად, ან მე ჩამიდენია საზიზღარი უსვინიდისობა და მიმიწერია მათთვის ისეთი აზრები, რომლების ნასახიც არ მოიპოვება მათ ნაწერებში. დიაღ, სწორეთ ეს უნდა დაემტკიცებია ჩვენს მოპირდაპირეს, ეს უნდა გამოერკვია და გამოექვეყნებია მას, თუ სერიოზულად უნდა ჩვენი აზრის გაბათილება; მაგრამ ამისთვის შრომა იყო საჭირო, მას მოუნდებოდა ჩვენგან ნაჩვენები პირების ნაწერების გადაკითხვა და რაზე გაიცხელებდა წიგნების კითხვით თავს, როდესაც ჩვეული ყოფილა ფონს გასვლას დაზეპირებული და საზოგადო შინაარსის ფრაზებით. მიმომხილველი მხოლოდ სიტყვის ბარაქისათვის ამბობს, რომ გომართელის ნაწერი შედარებული და შემოწმებული იქმნა საუკეთესო ასტრონომების ნაწერებთანაო, თორემ საქმით ამისი მსგავსი მას არაფერი არ შეუსრულებია და არც იცნობს ამ საუკეთესო ასტრონომებს. მას უფიქრია „შინაური საქმეები“ ხუცების გაზეთია, ამაში მისტიციზმის ქადაგების მეტი რა უნდა ეყაროსო და, თუმც სრულებით უსაბუთოდ, უხაზოთ და ულაროთ, უაზროთ და ულაგოთ მოუცხია და მოუცხია ცხელ ცხელი მუგუზლები. არსებითად იგი სრულებით არ შეხებია ჩვენს წერილს; ჩვენს მოწინააღმდეგეს მოუყვანია, არ ვიცით ვისა და რის საწინააღმდეგოთ, ბერტელოს სიტყვები და უფიქრია ბრწყინვალე ძლევირი ავადინე, გავაცამტვერე, ბზესავით გავანიავე სეფეველელის ნათქვამიო და დონჯ შემოყრილი რეზონიერობს: „განძრახ მოტყვილება ბავშვებისა და სიცრუის სწავლება ხომ ქრისტე ღმერთმაც დაჰგმო და მომაკვდინებელ ცოდვათ დასახაო“.

ფარისეველო ორგულო, თუ ქრისტეს ნამდვილად ღმერთად ალიარებ, მისგან მოცემული ლოცვა რათ გავიწყდება: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“, რომლითაც ყოვლისავე ეჭვს გარეშე სდგება პირადი ღვთის არსებობა და მამობა, ე. ი. მისგან ქვეყნის შექმნა, ცისა და ქვეყანის დაბადება, სიცოცხლის ანთება! ორგულო მწიგნობარო, თუ ქრისტე ნამდვილათ ღმერთია შენთვის და თუ რაიმე წარმოდგენა გაქვს მომაკვდინებელ ცოდვაზე, როგორღა ბედავ მეცნიერულ გმობას — „თურმე ქვეყნიერობაზე ყველაფერი ღვთის მადლით გაჩენილა და აღორძინებულა! „თურმე“ კი არა ნამდვილათ ღვთისაგანაა დაბადებული ქვეყანა და თუ არა, დაუმტკიცე ჩვენგან ნაჩვენებ მეცნიერებს, რომ ისინი მისტიციზმის მომხრენი არიან.

სეფეველელი.

სიტყვა,

თქმული 1912 წლის აპრილის 23 ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ქრისტე აღსდგა!

დღეს წმიდა ეკლესია ბრწყინვალედ დღესასწაულობს მთავარ-მოწამის გიორგის ხსენებას ტანჯვათა გამო, რომელიც თავს იდო ქრისტეს სჯულისთვის წარმართთა მეფისა და ერისაგან. როცა ადამიანი აკვირდება წმიდანის ცხოვრების აღსასრულს, უნებლიედ ეკითხება თავის თავსა: როგორ შესძლო ამ ჩვენებრ ხორცშესხმულმა არსებამ იმოდენი ტანჯვის დათმენა და სად მოიპოვა მისთვის საჭირო სულის ძალაო? პასუხს ამ საკითხისას ადამიანი

პოულობს მხოლოდ იმ აზრთა განწყობილებაში, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ წმიდა მოწამენი საზოგადოდ და ძლევა შემოსილი გიორგი კერძოდ. **ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა** (1 კორ. 15, 20),—აი ის შეურყეველი ქვაკუთხედი, რომელზედაც აშენდა მოწამეობა და ქრისტეანობრივი მსოფლიო მხედველობა! ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და თავის აღდგომით დაგვიმტკიცა, რომ ოდესმე ყველა მიცვალებული აღსდგება, რომ სიკვდილით არ თავდება არსებობა ადამიანისა, არამედ იწყება განახლებული ცხოვრება. ვინათგან ქრისტეანისათვის ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა,—ამისათვის საგნად ცხოვრებისა ამ ქვეყანაზედ ადამიანმა უნდა გაიხადოს ზრუნვა სიკვდილის იქითი ცხოვრებისათვის და ჯეროვნად მისთვის მომზადება. ეს მომზადება კი შეიძლება ერთად-ერთის საშვალებით, ქრისტე მაცხოვრის მცნებათა აღსრულებით, რომელთა შორის უბრწყინვალესი ადგილი უჭირავს ურთი-ერთა სიყვარულს: **შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი** (მათ. 22, 39). ნუ შეძრწუნდებით მისთვის, ოდეს თქვენ, ნაცვლად სიყვარულისა, მოგაგონ ტანჯვა და წამება, რამეთუ **რავდენ ვეზიარებით ვნებათა ქრისტესთა**—იმოდენ **გამოჩინებასა დიდებისა მისისა გიხაროდეს და მხიარულ იყვნეთ** (1 პეტრ. 4, 13). ოღონდ არავის შეემთხვეს თქვენგანს ვნება და ტანჯვა, როგორც კაცის მკვლელს, გინა მპარავს, გინა ძვირის მოქმედს, გინა უცხოისა განმგეს (მტაცებელს), ხოლო უკეთუ ვნებულ და ტანჯულ იქმნეთ, ვითარცა ქრისტეანენი,—**ნუ გრცხვენინ, არამედ ადიდებდით ღმერთსა ამით ნაწილითა**—ამ ხვედრითა (იქვე 15, 16). ცხადია, ამ მსოფლიო მხედველობით ხელმძღვანებულნი მოწამენი ქვეყნიურ, წარმავალ და დროებით სიამოვნებისათვის არ იზრუნებდნენ, არამედ შეუდგებოდნენ ძებნას **საყოფელად ქალაქსა მერმესა** (ებრ. 13, 14), ამ მერმეს ქალაქში მოელოდნენ **დაუჭნობელსა მას დიდებისა გვირგვინსა** (1 პეტრ. 5, 4) და ამის გამო სიხარულით ითმენდნენ ამ ქვეყანაზედ ქრისტეს სახელისათვის ყოველგვარ ტანჯვასა, სიკვდილსაც კი.

საყვარელნო, ჩვენ დღეს აქ შეკრებილნიც, ხომ ქრისტიანე ვართ და რად არის, რომ ფრიად სამძიმოდ მიგვაჩნია, არამც თუ წამებისა და გვემის ატანა, არამედ მცირედის მწუხარებისა და უბრალო ავადმყოფობის დათმენაც კი? მად, რომ ჩვენ ნელ-ნელა ვივიწყებთ ქრისტეანობრივ მსოფლიო მხედველობას და აღვაორძინებთ წარმართობრივსა, რომელსაც წმიდა მოციქული მოკლედ ახასიათებს ამ სიტყვებით: **ვსჭამოთ და ვსვათ, რამეთუ ხვალე მოვჰკვდებით** (1 კორ. 15, 32). ჭეშმარიტად, თუ კი ადამიანს არა აქვს წარმოდგენა საიქიო ცხოვრებისა, თუ კი საფლავის იქით აღარა მიაჩნია-რა, თუ დაჰკარგვია იმედი მკვდრეთით აღდგომისა, მაშინ სმა, ჭამა და ხორცის ფუფუნება უნდა აღიაროს ერთად-ერთ საზრუნავ საგნად, მსგავსად სახარების მდიდრისა, რომელიც უგუნურებით იტყოდა თავისთვის: **განისვენე, სულო ჩემო, სჭამე და სვი და იხარებდ.** (ლუკ. 12, 19).

მაგრამ... **ნუ სცთებით! ზრახვანი ბოროტნი განხრწნიან წესთა კეთილთა** (1 კორ. 15, 33), და სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, შევსდგეთ, განვიწმიდოთ გონება, მოვიკრიბოთ ძალღონე, შევებრძოლოთ ზრახვათა ბოროტთა, მოუწოდოთ შემწედ და მეოხად ჩვენის ქვეყნის დიდებულ პატრონ-მფარველს, წმ. მთავარ მოწამე გიორგის და მტკიცის სარწმუნოებით ღაღად-ვჰყოთ: **ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა.** ამინ.

ქრისტე აღსდგა!

დეკ. ქ. ცინცაძე.

მატერიალიზმი.

(დასასრული [1]).

მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ ღმერთი არ არის. მაშინ რაღა საჭიროა რელიგია, ზნეობა, სიმართლე, ხელოვნება, მეცნიერება, პოეზია, პროგრესი? დავგანებებთ თავი, ვსჭამოთ ვსვათ და ვიხარებდეთ, სულ ერთია ხვალ ხომ უნდა მოვკვდეთ!

წინააღმდეგ, სარწმუნოებასთან ერთათ დიდი ნათელი ეფინება მთელ ქმნილებას, ყოველ სიცოცხლეს.

თუ ჩვენ ეჭვის თვალით უყურებთ იმ მოსაზრებას, ვითომ უგრძნობმა შვა გრძნობიერი, უაზრომ--აზრიანი, მატერიამ—სულიერი, სიკვდილმა—სიცოცხლე; მაგიერათ გული თბება და მხნეობა გვემატება, თუ გვრწამს, რომ ყოველივე გარდამავალი წარმოსდგება სამარადისოისა და გარდუვალისაგან, ცვალებადი—მყარისა და უცვალებელისაგან, რომ მცირედი წყარო სინათლისა, მზე, მომასწავებელია დაუვალი მზისა და სამარადისო ნათლისა, რომ ის მცირეოდენი ნაწილი სიხარულისა და ბედნიერებისა, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენი სულისათვის, არის მხოლოდ სუსტი და შორეული მსგავსება სამარადისო ნეტარებისა, რომლითაც ჩვენ ოდესღაც დავსტკბებით. ასეთ რწმენაში არის აზრი, ჰარმონია და გონიერება.

ამ ნაირათ ჩვენ ვშორდებით მატერიალიზმს უფრო მოტყუებული მოლოდინში და დაღონებული, ვიდრე განრისხებული. როცა მის განხილვას შევუდექით, ჩვენ ვფიქრობდით, შევყროდით რაიმე ტაძარს მაინც, თუნდა ბაალისასაც*). ჩვენ გვეგონა ვნახავდით ერთ დიად შენობას მყარ პრინციპებზე დაფუძნებულს.

მაგრამ მოვტყუვდით. ჩვენ ჩავარდით მოკამათე და მოჩხუბარ ადამიანთა წრეში, რომლებიც მხოლოდ იმასღა ცდილობენ, თუ რომელმა გადააჭარბოს ყვირილში

აი სასწაულებრივი პირველყოფილი უჯრედი, რომლისგანაც ყველაფერი თავისთავათ ჩნდება! აი არაფრის მცოდნე და, მიუხედავათ ამისა, შპილლერის ბრძენთა ბრძენი ეთერიც! აი ნამდვილი სიცოცხლის ჩანასახები (Зародышъ), პირდაპირ მსოფლიო სივრცეში ნაპოვნი, რომლებსაც შეუძლიათ მილიონჯერ მეტი გახდენ! აი პლასტიდულებიც, მოაზრე ატომები; უკანასკნელი გამოგონება! და ყველა ამას თავზე ადგია მშვენიერი მოყვანილობის შენობა შვიდი ბოქლომით და გიეროგრიფული ზე წარწერით: „შვიდი მსოფლიო ამოცანა ანუ ignorabimus!“.

და ამას ჰქვია ბუნების და მისი კანონების ცოდნა! და ეს ფილოსოფია, რომელმაც არ იცის არც სარწმუნოება, არც სასოება, არც სიყვარული, რომლისათვისაც არ არსებობს აბსოლუტური (დამოუკიდებელი) ჭეშმარიტება, მშვენიერება და სიკეთე, რომელიც უარყოფს სულს და გულს, ეს დაუდევარი, მქისე და თვალღებითი—ცალმხრივი სისტემა, რომლისთვისაც არ არსებობს არც ღმერთი, არც მსოფლიო, არც სული, არც ნივთიერება, არც სიცოცხლე, არც სიკვდილი, რომელსაც არ სწამს არც ხელოვნება, არც მეცნიერება, არც ცოდვა, არც სიმართლე, არც სინიდისი, არც ზნეობა, არც რელიგია,—და სწორეთ ეს სისტემა იქადის მეცნიერულად დასაბუთებულობას!!

მატერიალიზმს არ ჰქონია და ვერც მიაღწევს მსოფლიო ძლიერებას, და არც შეიძლება შეიქნას ნორმალურ (ჭკუაში მყოფ) ადამიანის რწმენად. იგი უყურადღებოთ სტოვებს კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხებს. იგი ართმევს ადამიანს ყველაფერს, რაც შეადგენს მისთვის ერთათერთ იარაღს სიცოცხლისა და სიკვდილის გადასატანათ, და სამაგიეროთ აჩრის მას ნისლზე აგებულ თეორიებს, თუმცა ამასთანავე იჩემებს, რომ თავის მსჯელობათა საფუძვლათ ღებულობს სარწმუნო ფაქტებს.

მატერიალიზმი არ იძლევა მსოფლიო ძლიერებას; არ შეიძლება სიცოცხლე და სიკვდილი პირველყოფილ მატერიის ნებით. საზოგადოთ მატერიალიზმში ძლიერ ბავრია უარ-

[1]) იხ. შინ. საქ. № 15.

*) კერპის სახელია.

მოძღვარი*)

სული წმიდის მოფენა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

დღეს სულიწმიდის მოსვლის დღეს ვდღესასწაულობთ და საჭიროა ვიცოდეთ ამის ამბავი.

გავიდა ცხრა დღე შემდეგ ამაღლებისა. მოციქულები მოძღვრის ბრძანებისამებრ არ გაშორებიან იერუსალიმს და ხშირად იკრიბებოდნენ ერთად შიშისათვის ურიათასა. ამ ხნის განმავლობაში მათ მეთორმეტე მოციქულად აირჩიეს იუდა-გამცემელის მაგიერ—მატათა ანუ მათე. დადგა მეათე დღე. ამ დღეს დაემთხვა ორი დღესასწაული—ურიების მეერგასესი და ქრისტიანების კვირა ანუ ქრისტეს აღდგომის დღე. მეერგასესი ყოველთვის დიდ ძალ ხალხს იზიდავდა იერუსალიმში ყოველი კუთხიდგან, სადაც კი იყვნენ ურიები გაბნეული. ეხლაც, რა თქმა უნდა, აურაცხელი მლოცველი ხალხი მოაწყდა იერუსალიმს სხვადასხვა ქვეყნებიდან; აქ შეხვდებოდით ებრაელებს და პროზელიტებს (ებრაელ სარწმუნოებაზე მოქცეულ წარმართებს) საბერძნეთიდან, რომიდან, არაბეთიდან, სპარსეთიდან, ეგვიპტიდან, საქართველოდან და ყველა ეს ხალხი თავის ქვეყნის დედა ენაზე ლაპარაკობდა და ძვირად თუ მათში ვინმე იცოდა ებრაული ენა, გარდა პალესტინელ ურიათა. ამ დღეს მოციქულებიც დილა-ადრიან შეიკრიბნენ ერთად, ერთ სადგომში. უეცრად რაღაც ხმაურობა მოისმა, „ვითარცა მოწევნა ქარისა სასტიკისა", როგორც მოგვითხრობს წიგნი საქმე მოციქულთა, და ამ ხმაურობით აივსო ის სადგომი, სადაც მოციქულებს მოეყარათ თავი და სადაც ბრძანდებოდა თვით დედაღვთისაც. „და ეჩვენეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი და დაადგრა თითეულად კაცად კაცადსა მათსა ზედა". ეს იყო გარეგანი ნიშანი სულიწმიდის გადმოსვლისა, რომელიც აღუთქვა მაცხოვარმა მოციქულებს თავის ამაღლების წინა ხანებში.

მოციქულებმა იგრძნეს მხნეობა, გაბედულობა, მოაგონდათ ყოველივე ნათქვამი მაცხოვრისა, შეიგნეს წერილნი და წინასწარმეტყველებანი, უკანასკნელად განმტკიცდნენ სარწმუნოებაში, იგრძნეს მოთხოვნილება ქრისტეს მოძღვრების გავრცელებისა და იმავე სულიწმიდის გავლენით ისწავეს და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე.

სული წმიდის მოსვლით გამოწვეულმა ხმაურობამ დიდძალი ხალხი მოიზიდა იმ ადგილზე, სადაც მოციქულები იყვნენ შეკრებილი. მოციქულებიც გამოვიდნენ გარეთ და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე. ხალხის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ასეთი არა ჩვეულებრივი მოვლენა დაინახეს. მოციქულებს ბევრი პირდათ იცნობდა და ბევრიც გარეგნობით ატყობდა, რომ იგინი გალილეველნი იყვნენ, უსწავლელნი და ამიტომ ყველა გაკვირვებით ეკითხებოდა ერთი მეორეს: „ანუ არა ესე ყოველნი არიანა გალილეველ? და ვითარ გვესმის მათგან კაცად-კაცადსა თვისი სიტყვა, რომელნი ვართ პართნი და მიდნი, და უეკნი, და ელამიტელნი, და მკვიდრნი შუა მდინარისანი, ჰურიასტანისანი და კაბადუკიასანი, პონტოისანი და ასიაისანი, ფრიგიისანი და პამფილიისანი, ეგვიპტისანი და ადგილისა ლიბიისანი, კვირინით კერძონი, და მოსრულნი ჰრომით, ჰურიანი და მწირნი, კრიტელნი და არაბიელნი, გვესმის იტყვიან რა ჩვენითა ენითა დიდებასა ღმრთისასა".

ბევრნი, უთუოდ ისინი, ვინც დაახლოებით იცნობდნენ მათ, როგორც ქრისტეს მოწაფეებს და ამიტომ სძულდათ, კიცხვიდნენ მოციქულებს და ამბობდნენ, „ტკბილთაგან სავსე არიანო", ე. ი. ღვინით დამთვრალან საწყლები და ის ალაპარაკებს სხვადასხვა ენაზეო. მაგრამ შურით შეპყრობილებს ავიწყდებოდათ, რომ ღვინო უცხო ენებს არ ასწავლის და ხშირად თავისას კი ავიწყებინებს.

ასეთმა უსირცხვილო ცილისწამებამ გამოიწვია პეტრე საქადაგებლათ. მან აუხსნა იქ—შეგროვილ ხალხს რომ ეს ამბავი, რაც მათ თავზე მოხდა, ღვინის ბრალი არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან „ჟამი არს მესამე", ე. ი. ის დროა, როცა არავინ სვამს და ჭამს, არამედ ეს არის აღსრულება იოელ წინასწარმეტყველის სიტყვისა, რომელმაც სთქვა სული-წმიდის მოსვლისათვის: „და იყოს უკანასკნელთა დღეთა, იტყვის უფალი ღმერთი, მივფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ხორციელსა; და წინასწარ-მეტყველებდნენ ძენი თქვენნი და ასულნი თქვენნი და ჭაბუკნი თქვენნი ხილვასა იხილვიდნენ, და მოხუცებულთა თქვენთა ჩვენებით განეცხადო, და მონათა ჩემთა ზედა და მხევალთა ჩემთა ზედა, მათ დღეთა შინა მივფინო სულისაგან ჩემისა, და წინასწარმეტყველებდნენ"

*) ამ სათაურით „შინაურ საქმეების" თითეულ ნომერს დაემატება ყოველი მომავალი კვირის ქადაგება, რომელიც მღვდელს შეუძლია წაიკითხოს, ან ზეპირათ სთქვას ეკლესიაში.

შემდეგ განუმარტა მსმენელებს იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრება, მისი მოძღვრება, წამება, ჯვარცმა, სიკვდილი და სწამა მისი მკვდრეთით აღდგომა, რის მოწმეთაც დაასახელა ყველა იქ მყოფნი მოციქულნი და იერუსალიმელი ებრაელნი: — „ესე იესო აღადგინა ღმერთმან, რომლისა ვართ ჩვენ ყოველნი მოწამეო“. და აი თქვენგან მოკლულმა, ხოლო შემდეგ აღდგომილმა და ამაღლებულმა იესომ მოავლინა ჩვენზედა სულიწმიდა, რომელიცა იქმს მას, რასაც თქვენ ხედავთ და გესმისთ, — დაამთავრა პეტრემ თავის ქადაგება. ამავე დღეს მიიღო ქრისტეს მოძღვრება და ნათელიღო სამიათასმა კაცმა.

ასე მოხდა ის დიდებული ამბავი, რის მოსახსენებლადაც დადებული გვაქვს დღევანდელი დღესასწაული.

სულიწმიდა არა მხოლოდ მოციქულებზე გადმოსულა, არამედ იგი ყველა ქრისტიანებზეა გადმოსული ნათლიღების დროს. ამაში გვარწმუნებს მოციქულის სიტყვა ქრისტიანების მიმართ: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღვთისანი ხართ და სულიწმიდა დამკვიდრებულ არს თქვენ შორის“? მის მიერ დადგინდებიან მსყემსნი და მოძღვარნი ეკლესიისანი, მის მიერ ეძლევა მათ უფლება საიდუმლოთა შესრულებისა, მის მიერ ეძლევა თითეულ ჩვენგანს შვიდნი უმთავრესნი ნიჭნი სულისა წმიდისანი,

სულიწმიდა აუწყებდა წინასწარმეტყველთა მიერ მაცხოვრის მოსვლას, მოქმედებდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის გავრცელებაში ქვეყნიერობაზე. ამნაირათ თანასწორ მამისა ძისა სულიწმიდაც მონაწილეა ადამიანის გამოხსნაში, ადამიანის აღდგინებაში და განწმედაში და მასვე შვენის ჩვენი მოკრძალებითი პატივი და თაყვანისცემა თანაბრად მამისა და ძისა. სამნი პირნი ღვთისანი არიან, რომელნი ზრუნავენ ადამიანის ცხოვნებისათვის და სიკეთისათვის. საჭიროა ჩვენი მხრით მცირე რამ, სახელდობრ, თავისუფლად მივიღოთ და დავემორჩილოთ ამ მზრუნველობას და აღვასრულოთ მცნება ძმათმოყვარეობისა, რაიცა შეგვაძლებინოს ჩვენ მანვე სულმან წმიდამან. ამინ.

ყოფითი, ხოლო ძალიან ცოტა დადებითი, გარნა ეს ძლიერების ნიშანი არ არის. ღრმა მოაზრისათვის იგი ძრიელ წვრილმანია და უმნიშვნელო; ღვთის უარმყოფელ მასსისათვის, ანარხიისათვის იგი ძლიერ სუსტია.

არა, ქრისტიანს სწამს თანახმათ ჭეშმარიტ მეცნიერებისა; მას სწამს, მიტომ რომ გრძნობს, რომ მეცნიერება სარწმუნოებისა უმფრო მეცნიერულია და შეურყეველი, ვიდრე მეცნიერება ურწმუნოებისა.

ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად.

(გაგრძელება[1])

პირველ ახუთში კარგა მოზრდილი ბაზარიცა ყოფილა აფთიაქიც და სასწავლებლებიცა, მაგრამ ეკლესიები კი უალაგო ალაგას არიან და არც ერთი მათგანი არ შეჰფერის თავის დანიშნულებას.

მოძღვრებიც ვერა დგანან თავისი წოდების სიმაღლეზე და ბევრი შრომა დაჭირდება მღვდელმთავარს, რომ პირველ ახუთში მრევლის საქმე გაალვიძეს, ფეხზე დააყენეს სასურველი მიმდინარეობა მისცეს. ს. ლეგერსამე სულ მივარდნილი მთის ღარიბი სოფელია. ხალხი ღვთის მოსავი და მორწმუნეა. მღვდელიც თითქოს განგებას შეურჩევიავო, სათნო კაცია და მუყაითად ემსახურება თავის სულიერ შვილებს. ეკლესია ძველი — ძველთაგანია, ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ვერაფერი წარწერები ვერ აღმოვაჩინე მის კედლებზე.

სამრეკლოზე ხუთი ზარი უკიდიათ. მისვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიქცია ზარების შეწყობილმა და ხელოვნურმა რეკვამ. გავეშურე სამრეკლოსკენ და დავინახე, რომ ზარებს ახმატკბილებდა ვილაცა მანდილოსანი. სოფ. მცხოვრებლებმა გადმოსცეს, რომ ეს ქალი ბოვშობიდან შეეზარდა ზარების რეკვას, ისე უყურებს ამ საქმეს, როგორც საღვთო მოვალეობის შესრულებას და რაც უნდა ცუდი დარი იყოს, თუკი ფეხზე დგას, არავის არ აუშვებს სამრეკლოზეო.

ღმერთმა შეუწიროს ასეთი გულმოდგინება!

აგვისტოს პირველს წირვის მოსმენა შეგვხვდა ნაზა-დელოუს წმ. გიორგის ეკლესიაში. მწირველი იყო ადგილობრივი მღვდელი მოსე ვეკუა და მგალობლად ეხმარებოდნენ მას მისივე ორი შვილი — მასწავლებელი ქუთაისის ეპარქიალური დედათა სასწავლებისა ფილოლოგი ვლადიმერი, სტუდენტი სამხედრო საექიმო აკადემიისა აკაკი და მათი ნათესავი ლიის ორ კლასიანი სამეევლო სკოლის მასწავლებელი მაქსიმე ვეკუა. ეტყობოდა, რომ მსმენელებს, რომლებსაც აევსოთ — ეკლესია და მისი გალავანი, დიდათ ესიამოვნებოდათ ამ განათლებული კაცების გალობა. მართლადა, რამდენს სულიერ სიამოვნებას გამოაცდევინებდნენ სოფელში მცხოვრებლებს და რა დიდს ნდობას დაიმსახურებდენ ამ უკანასკნელებისას ჩვენი ნასწავლები, რომ ხელაღებით არა სძულდეთ მათ მამა — პაპათა ეკლესია, სარწმუნოება და ყველაფერი ქრისტიანული.

ჩვენებურმა ნასწავლებმა ისე უჩვენეს თავი დაბალ ხალხს, რომ ნასწავლი და ურწმუნონი შუბად გახდნენ ხალხის თვალში, ამიტომაა, რომ სოფლის მორწმუნე ხალხი დღევანდლამდე ხორველასავით უფრთხის სასწავლებელსაც და ნასწავლსაც.....

ხის ეკლესის კედლებში თითქმის ყველგან ხელი გამოესმის, ქვის იატაკი უსუფთავო და უსწორ-მასწორია, არაფერს არა გვანან ტრაპეზის, სამკვეთლოს და მღვდლის დაგლეჯილი შესამოსლები, მთლად უვარგისია გარდამოხსნა და საერთოდ არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ეკლესიის მთელი მოწყობილობა.

ნაწირვებს მისი მეუფებამ გაემგზავრა ს. ლეახალეში. ეს სოფელი შესდგება სულ 70 კომლიდან, ამათგან ოცდა ხუთი კომლი უსესხია ს. დოშყას შტატის დასაარსებლად საჭირო რიცხვის შესავსებლათ და ორმოცდა ხუთი კომლი ამავე მიზნით მიუთვისებია ნაზადე-

[1] იხ. „შინ. საქ. № 14.

ლოუს, ასე რომ დღეს ლეახალეს ორი მღვდელი და ორი ბლალოჩინი ჰყავს, იმათგანი ერთი მღვდელი და ბლალოჩინი ზუგდიდის მაზრისაა, და მეორე მღვდელი და ბლალოჩინი სენაკისა. მეტად საბრალისია ბეჩავი ხალხი, მათთვის არც წირვა, არც ლოცვა, არც დამარხვა მიცვალებულისა თავის დროზე და არც მონათვლა!

ხალხის სამართლიანმა შენიშვნამ, რომ მღვდლები მხოლოდ ფულის მოსაბოჭად მოდიან ჩვენში, მწუხარებით აავსო მღვდელმთავარი.

ეს ორად დაგლეჯილი ერთი ციცქნა სოფელი მისმა მეუფებამ ჩააბარა დროებით ერთ მეზობელ ახალ-გაზდა მღვდელს, თანახმად ხალხის თხოვნისა.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ ხსენებულ სოფელს დაენიშნოს საკუთარი ღვდელი, რადგანაც გეოგრაფიული მდებარეობით დაშორებული და მოწყვეტილია ყველა სოფლებიდან. მართალია, მცხოვრებთა რიცხვი მცირეა, მაგრამ ამათაც ხომ უსათუოდ მოვლა და პატრონობა უნდათ. რა თქმა უნდა, ასეთ მცირე მრევლში კრებული უჯამაგიროთ ვერ იარსებებს, ახალი ჯამაგირის გამოთხოვნა კი მთავრობისაგან თითქმის შეუძლებელია, მაგრამ რადგანაც ეპარქიაში ბევრია სულ უსარგებლოდ, სულ ტყუილად, არავითარი მოთხოვნილებით არ გამოწვეული ორ შტატიანი ჯამაგირიანი კრებული, ერთი ამ შტატთაგანი რომ ლეახალეში იქნას გადატანილი, ვგონებ, არც მთავრობა გახდება ამის მოწინააღმდეგე. მით უფრო, რომ ორშტატიანი კრებულის წევრები თითქმის ყოველთვის მგლის თვალით უყურებენ ერთი მეორეს და ასეთ მრევლში საეკლესიო საქმეებიც გაცილებით უხეიროთ არის დაყენებული, ვიდრე ერთ შტატიან მრევლში.

ს. ლექარჩეს ეკლესია ახალი აშენებულია, იგი ქვისაა, მხოლოდ ცა ხისაგანა აქვს შეკრული. ეტყობა ეკლესია ჭონჭობ ალაგზეა აგებული, რომ დუღაბის იატაკი მთლად დანოტიოებულია და მწვანე ხავსით არის დაფარული.

აქაც უსარგებლოა ხალხის უვიცობით წყალწაღებულ ბაბუნაშვილს და ეკლესია დაუმახინჯებია თავისი უგემურად მოთხუპნული ხატებით.

ამ მრევლში მღვდლად ადგილობრივი მკვიდრი, საკმარისად გაგებული ახალგაზრდა კაცია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბევრსავით ანაფორის ჩაცმით არ გამოეთხოვება თვით განვითარების ზრუნვას და თავის მეზობლებსაც ცოტათი მაინც აგემებს გონებრივი მუშაობის სიამტკბილობას.

საღამოს მისმა მეუფებამ დაათვალიერა ს. საკიკიანოს ქვის ეკლესია და ბინათ მიბრძანდა ადგილობრივ მღვდელთან.

ბინაზე თავი მოეყარათ ძმ. ვეკუებს, ზუგდიდის ქალების სკოლის მასწავლებელ ქალს ნ. კვარაცხელიას, საკიკიანოს სკოლის მასწავლებელს კვარაცხელიას და სხ. ყოვლად სამღვდელო მამაშვილური თავაზიანობით ემუსაიფებოდა ყველას და თვითეულ მათგანს ავალებდა ხალხის სასიკეთო შრომა-მოღვაწეობას.

მეორე დღეს დათვალიერებულ იქმნენ ზედა გარხის,*) ქვედა გარხის, მოიდა-ნახის და პირველი ჭოლის ეკლესიები.

ლე გერსამიდამ დაწყებული ქვედა გარხამდე ჩვენი მოგზაურობა ნამდვილი ტანჯვა იყო: რის ვაი ვაგლახით ავიდოდით უშველებელ მთის წვერზე და ისევ გვჭირდებოდა თავ დაკიდებულებს ქვესკნელში წასულ ხევში ჩასვლა, რამდენჯერმე გავიდ-გამოვიდოდით უზარმაზარი ლოდებით მოჭედილ ერთ და იმავე მდინარეში და ხელახლა შეუდგებოდით კედელივით ამართულ აღმართს, მერე ისევ დავეშვებოდით დაღმართს, ისევ ვწყობილობდით აღმართზე ფოფხვას და ამ გვარად დღე ნახევრის განმავლობაში გადავდიოდით ერთი მთის წვერიდან მეორე მთის ზურგზე.

ვილაც მამაცხონებული ეკითხებოდა ამ რამდენიმე წლის წინეთ საეკლესიო უწყებების რედაქციას: შეშვენის თუ არა სასულიერო პირს, რომ გაჭირვების დროს ცხენზე შეჯდეს და

*) გარახა, ამ სოფლებში ძალიან ბევრი ჰყრია ერთ გვარი ქვა, რომელიც მიწის გორხის მსგავსია და ალბათ ეს სახელიც ამ სოფლებმაც აქედან მიიღეს.

მრევლში მღვდელმოქმედების შესასრულებლათ წავიდესო. ცხადია ამ ბედნიერ პირს წარმოდგენა არა ჰქონია იმისთანა მხარეზე, როგორიც საქართველოა, თორემ თითონაც შერცხვებოდა თავის უაზრო კითხვისა.

N.

შემდეგი იქნება.

მღვ. მიხეილ ჯაფარიძის გარდაცვალების გამო.

20 მარტს ს. ხრეითში დაასაფლავეს მღვდელი მიხეილ ჯაფარიძე. განსვენებული დაიბადა 1842 წელს ღარიბი აზნაურის სახლში. შინაური სასულიერო განათლება მიიღო ჯრუჭის მონასტერში. 41 წელიწადი მღვდლობაში იმსახურა. კარგი ეკლესიის აშენებაში მხურვალე მონაწილეობის მიღებისთვის და ხანგრძლივი სინიდისიერი სამსახურისთვის მთავრობისგან იყო დაჯილდოვებული ნაბედრენიკით, სკუფიით, კამილავკით და მკერდის ჯვრით. განსვენებულს იცნობდენ, როგორც კეთილ და სათნო მოძღვარს. თავის სამწყსოზე დიდი ზნეობრივი გავლენა ქონდა, რაც გამოთხოვების დღეს ყველამ მხურვალე ცრემლით ილიარა. წესთ აგების შემდეგ, ჭირისუფალი შვილი შემდეგი სიტყვებით გამოეთხოვა:

ძვირფასო მშობელო!

ღმერთს ებრალებოდი და გწყალობდა, ხალხს უყვარდი და პატივს გცემდა. შენგან მოცემული მცნება: „ღმერთი გრწამდესთ და ხალხი გიყვარდესთო,“ დღემდიც წმინდათ მიგვაჩნდა და აწიც ანდერძათ გვექნება. იმ სიმდიდრეს, რომელიც შენ დაგვიტოვე, სახელათ **პატიოსნება** ჰქვია. სწავლით და ქონებით შენ ვერავინ გიცნობდა, მაგრამ 70 წლის ამ ქვეყნათ ცხოვრებამ კეთილი და პატიოსანი სახელი მოგცა და ამით შენ ბედნიერ კაცათ მიგვაჩდი. კეთილო სულო! ნათლად მიემგზავრები შენი სამსახურით გაკეთებულ ხიდზე; წინ მიგიძღვის წმინდა ოლარი, რომელსაც ორმოცი წელიწადი ემსახურე, უკან გრჩება კეთილი სახელი და ვალი აღსრულებული. გარს გეხვევიან შენი მოწაფეები და შენ კეთილსამსახურს მხურვალე ცრემლით აღიარებენ. კეთილ იყოს განსვენება შენი, შენი სურათი ჩვენს გულშია აღბეჭდილი. მშვიდობით... თუ ვსტირით ეს მიტომ, რომ დღეს გრძნობა გონებას იმორჩილებს. სატირალია შენი დაკლება, მაგრამ სანუგეშოა შენი მაგალითი.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს მღვდლებმა ერეკლე აბაშიძემ და ბესარიონ ვაშაძემ...

მღვდლის ერეკლე აბაშიძის სიტყვა.

გამოჩენილმან და სახელოვანმან ბრძენმან სოლომონ, მიმხედველმა საწუთო სოფლის დაუდგრომელის მღელვარებისამან, ერთს ღროს სხვათა შორის, წარმოსთქვა.

„ამაო ამაოთა და ყოველივე ამაო არს“

ყოვლად ჭეშმარიტი არს სიტყვა ესე ჩვენ შორის, საწუთოსა ამას ცხოვრებასა შინა; ყოველთა ამის სოფლისათა, ესე იგი ღირსებასა, პატივსა, და ყოველივე დიდებასა კაცისასა აღრევს და შეაერთებს საშინელი იგი სიკვდილი მტვერთა თანა მიწისათა. ბრწყინვალენი სახსნი და მოქალაქური მოქმედებანი კაცთანი, რომელნიცა განაკვირვებენ მსოფლიოსა, განქარვდებიან და დაიფარვიან წყვდიადსა შინა საფლავისასა, ვითარცა ჟამიერნი და წუთიერნი ჩვენებანი; სატრფოთა და საგრძნობელთა ჩვენთვის კმაყოფილებათა და შექცევათა, ერთი ოდენ წარმოდგენა საუკუნოისა შესცვლის მწუხარებად და სინანულად; ნაცვლად განცხრომისა და მეგობრობისა, მიუწყავთ ჩვენ მწარეთა ცრემლთა; და ესრეთ რაოდენსაც რასა მიიღებს კაცი სოფლისაგან, უკვე თანაძას მიქცევად სოფლისადმი, ვინაიდგან პირველი უხრწნელად დაბადებული კაცი, შემდეგ მიეცა ხრწნილებასა; სამწუხარო სახილველი ესე ცხადად და ჭეშმარიტად დაგვიმტკიცებს ჩვენ ამაოებასა ამა სოფლისასა კაცობრიობისათვის, რომლის მავა-

ლითი წინა მედებარე არს, ულრმესად პატივცემული და ჩვენი უსაყვარლესი სასიქადულო ძმა და მეგობირი მღვდელი მამა მიხაილ ასლანის ძე ჯაფარიძე, რომელსაც თუმცა უმაღლესად სწავლა განათლება არ მიუღია, გარნა თანშობილის ნიჭით კი მდიდრად დაჯილდოვებული და ჩვენებურად სამშობლო ენაზე საკმაოდ განვითარებული, რომელიც სწავლით ალქურვილს თანა მესაუბრეს არ ჩამორჩებოდა უკან არა ვითარს სჯა-ბაასში, იყო შემკული ძვირფასის და სასახელო ცოლშვილით და კარგი ოჯახით; გუშინ ტკბილად ზრახვიდა მეგობრთა და მოყვარეთა თვისთა თანა, ხოლო აწ სამშვინველსაცა მოკლებული, შევალს და დაიფარვის ბნელსა საფლავსა შინა, გულსა მიწისასა. აზრი რომლითაცა წამისყოფასა შინა ერთსა მოვლიდა ცასა და ქვეყანასა, საუკუნით განყოფილთა და მომავალთა, აწ შეერთდების მტვერთა თანა მიწისათა. ნუ უკვე ხატება იგი ღვთისა, სული ჩვენი, დაშრტის მსგავსად ლამპარისა? და გული მკობილი სახიერებითა და კეთილთა ნაწილთა მსხვერპლი იქმნების ხრწნილებისა? არა, არამედ ბოროტ არს ბორიტი, ხოლო სათნოთა ღვთისათა მიეგოს კეთილი. ჭეშმარიტება ესე საუკუნო არს და მართალ. ჭეშმარიტი მსჯავრი ღვთისა არა არს, ვითარცა მსჯავრი კაცისა. „მე მივაგებ კაცად კაცადსა საქმეთა მისთაებრ“, იტყვის უფალი ყოვლისა შემძლებელი. მისაგებელი სათნოებათა ესრეთ უხრწნელ არს ვითარცა უკვდავი სული ჩვენი, და ესრეთის გამომკვლეველს შენ, ძვირფასო ძმაო მიხაილ, გათვალისწინებული გქონდა, ოდესცა ცანი დ̃ ქვეყანა განახლება, მაშინ ხრწნილებამან ისევ უხრწნელება შეიმოსოს, და ამის შემდეგ ცხად იქმნა, რომ კაცი მარტო ამ ქვეყნიერებისათვის კი არ არის დაბადებული, არამედ უმეტეს საუკუნო ცხოვრებისათვის. რადგან საუკუნო ცხოვრება დაუსრულებელი არის, ამისთვის აქვს მინიჭებული უკვდავი და გონიერი სული აღბეჭდილი ღვთაებრივი ხატებით და მსგავსებით. და რადგან მტკიცედ გქონდა გამოკვლეული, როგორც ნიჭით მდიდარს, რომ საწუთო სოფელი არის აჩრდილი საუკუნო ცხოვრებისა, ამის გამო მრავალგზის შემინიშნავს შენთვის კერძო საუბრის დროსა რომ თვალ-ყურს ადევნებდი შენს განვლილს ცხოვრებას და, რაოდენ შესაძლო იყო, ემზადებოდი მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის; ვითარცა სარწმუნო მოძღვარი და უბიწო მსახური წმინდა ტრაპეზისა, იყავი მსასოებელი ღვთისა, და დარაჯი სამწყსოისა, იყავი ნამდვილი მუშაკი ქრისტეს ყანაში, კეთილი მწყემსი მობარებულის სამწყსოისა, სოფლის მოქალაქე, მოყვარული სამშობლო მამულისა, სტუმართ მოყვარე, იშვიათი გულკეთილი და სათნო, მიმსწრაფი სწავლა განათლებისა და ცხოვრების შეგნებისა, რომელიც თავ დაუზოგავად და შეგნებულად ზრუნავდი უმწეო და დაჩაგრულ სამშობლო ქვეყნის, როგორც სულიერად ეგრეთვე ხორციელად კეთილ წარმატებისათვის რომლის უტყუარი საბუთები გვიპყრიეს თვალ საჩინოდ. რიცხვთა შორის, საბუთი შენი მოღვაწეობისა არიან შენი წინამძღოლობით აღშენებული ხრეითის წმიდის გიორგის ქვითკირის ეკკლესია და ქვეყნისათვის შენი კარგი შვილები, რომლებსაც, მიუხედავად მრავალ გვარი სხვადასხვა დაბრკოლებისა, შენი მცირე შემოსავლით დაამთავრებიე სწავლა-განათლება და გარდაეცი საზოგადოებას, ვითარცა სასქიდულო მამულის შვილები, და ამ მხრით იყავი სულით მდიდარი და საკმაოდ დაჯილდოებული, როგორც ღვთისაგან სხვადასხვა მრავალი კეთილი მხარეებით, ეგრეთვე სასულიერო მთავრობისაგან საკმაო ჯილდოებით, და საზოგადოებისაგან ძმური სიყვარულით, და ამ გვარად თამამად უნდა სთქვას შენზედ კაცმა პავლე მოციქულის სიტყვები „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა“. და ამ ღირსეულად დაჯილდოების შემდეგ, როდესაც შენც გრძნობდი დამტკბარ ცხოვრებას და ჩვენც გიწოდებდით ბედნიერ მამას და სარწმუნო მოძღვარს, სწორედ ამ დროს შეიცვალა ეს სიამოვნება და სიხარული მწუხარებად და ურვად, რადგან დღეს განისვენებ სასიკვდინესა ცხედარსა ამას შინა, განხვალ ქვეყანით და წარემართები მუნ სადა მიხედვაცა არა ყოველთა ძალრძსთ, თვინიერ შეძრწუნებისა. მაგრამ თუმცა სახე შენი მიეფა-

რა ჩვენგან ხილულად, ძვირფასო ძმაო მიხაილ, გარნა სახელი და საქმენი შენნი იქმნებიან თვალსაჩინოდ დაუვიწყარი და უკვდავი უკუნისამდე, მით უმეტეს, რადგან დარწმუნებული ვართ, შენი კარგი შვილები თანდათან განაბრწყინვებენ და აღამაღლებენ სახელსა შენსა ერსა შორის. ხოლო ჩვენ, შენი თანამედროვე მოძმენი, კი დაუვიწყრად გგოდებთ და გიგლოვთ, ძვირფასო ძმაო მიხაილ! როგორც შენ აღასრულე მცნება უფლისა, ეგრეთვე ჩვენცა მოვალენი ვართ, რათამცა თითოეული ჩვენგანი საშიშსა სახესა სიკვდილისა განეროს, და ბნელი იგი საფლავი არ ეჩვენებოდეს საშინელად, რომლის უკვე ღონის ძიებად სახმარ არიან, როგორც ვღებულობდით შენგან მაგალითსა: სიმართლე, მყუდროება, სიყვარული ღვთისა და კაცისა, და უმეტეს ვოველთა მტკიცე და ცხოველი სარწმუნოება ღვთისა მიმართ. — ვიცით, ძმაო მიხაილ, რომ ჩვენც ყოველნი განვქარდებით სოფლისათვის, და სოფელი ჩვენთვის, გარნა მუნ წარმოდგენა ესრეთისა არს საშინელი განკითხვა და მსჯავრი თითოეულისათვის, ხოლო შენ კი ჩვენთვის დაუვიწყარს ძმას და მეგობარს, მღვდელო მიხაილ, როგორც თანშობილი გონიერებით აღჭურვილს და ღვთისა სასოებით მსახურს, სიკვდილი ანუ გარდაცვალება მიგაჩნდა ვითარცა ძილი, ვინაიდგან მოელოდი უკვდავისა მამისა მიერ ზეციერსა სიხარულსა, რომელზედაც, სამწუხაროდ ჩვენდა, უკვე აღსრულდა მსჯავრი ღვთისა და გვშორდები საუკუნოდ. და რადგან შენ აღასრულე მშვიდობით და წმინდათ მოგზაურობა საწუთოსა ცხოვრებასა შინა, ამიერითგან გვლარძნილება და სიხენეში სოფლისა ამის ვერღარა შესძვრენ სულსა შენსა, რამეთუ განვლე ადგილი გოდებისა სიხარულით და წმინდად და დღეს მშვიდობით დამტევებელი ძვირფასი მეუღლისა, შვილებისა და ოჯახისა შენისა უზრუნველ ყოფილი წარემართე საუკუნო ცხოვრებაში. აწ მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო და ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო და მეგობარო მღვდელო, დაემკვიდრე ზეციერსა ქალაქსა შინა, სადა იგი არა არს ჭირი, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

შორაპნის საბლაღოჩინო სამღვდელოების კრება.

16 ამა აპრილს მოხდა შორაპნის საბლაღოჩინო სამღვდელოების კრება ძირულაში შროშის სასოფლო სამართველოს დარბაზში. კრებას დაესწრო უმეტესი რიცხვი სამღვდელოებისა. ადგილობითი ბლაღოჩინმა მღ. ლ. სუხიაშვილმა წაუკითხა სამღვდელოებას სხვადასხვა ცირკულიარები მთავრობისა. ამასთანავე მიეცა წინადადება სამღვდელოებას, რომ შეძლებისადაგვარათ კეთილ-მნებელობით, ვისაც რამდენი სურდა, შეეტანათ გარდაცვალებული მღ. ს. ჩიხლაძის ქვრივ და ობლების სასარგებლოთ, რომელნიც უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებაში იმყოფებიან ამ ჟამთ. არ დარჩენილა არცერთი დამსწრე მღვდელი და მედავითნე, რომ არ შეეტანათ თავისი წვლილი—ზოგმა მანეთი, ზოგმა ათი შაური. რიგიანი გულშემატკივრობა გამოიჩინა ამ საბლაღოჩინო სამღვდელოებამ. სწორეთ ასე უნდა მოხდეს ხოლმე შეკრება შემწეობისა და დახმარებისა გაჭირვებულ დ დაობლებულთათვის სასულიერო პირი იქნება იგი თუ სხვა, და არა ისე, როგორც ამას წინეთ ეპარქიალურ კრებებზედ დაადგენდენ და გამოგზავნიდნენ ხოლმე გინდა თუ არა გადიხადეო. თუმცა ეპარქიალური კრებების დადგენილობით კრებულს ხდებოდა ხოლმე ამისთანა შემთხვევისათვის უფრო მცირე (20 კაპ.), ვინემ ნებით შეტანილი, მაგრამ იმ მცირის გადახდაც გვეთაკილებოდა, ვინაიდგან ნაბრძანებივით გამოდიოდა და არა ჩვენი კეთილნებელობით.

კრებამ კარგათ ჩაიარა, მაგრამ ბოლოს ცოტა კამათი შეიქნა გაზეთი „შინაური საქმეების“ შესახებ. ბლაღოჩინმა უთხრა სამღვდელოებას, „გაზ. „შინაური საქმეები“ მთლად სამღვდელოების ლანძღვა-გინების მეტს არაფერს არ აკეთებს. არაფერია იმაში ჩვენი სასარგებლო და სერიოზული არ არისო. ამისთანა

გაზეთი რათ გვინდა და ისიც ისე ძვირით. ბლაღოჩინის მონობას შეჩვეულმა მღვდლებმა, აილო თუ არა ალღო ბლაღოჩინისა იმაზედ, რომ მას, ბლაღოჩინს, არ მოსწონს ეს გაზეთი, აუსხეს მხარი და შექნეს აურ-ზაური.

მღ. გ. მაღრაძემ მოახსენა კრებას შემდეგი: „მეტათ მაკვირვებს დღევანდელი აქ ატეხილი მითქმა-მოთქმა გაზეთის შესახებ და ძალიან სათაკილოთაც მიმაჩნია ჩემის აზრით იმისი თქმა—გაზეთი არ გვინდაო, მხოლოთ მისთვის რომ ამ გაზეთში ვილანძღებითო. ჩემი წარმოდგენით გაზეთი საზოგადოების ნაკლის გამასწორებელი არის. თუ ვინმე გაზეთში, ხედავს თავის უდანაშაულოთ ლანძღვას, იმას კი არ უნდა იძახოდეს გაზეთი არ გამოვიწეროთ, დავხიოთ, არ წავიკითხოთო, არამედ პასუხი უნდა გასცეს გაზეთშივე. მე დარწმუნებული ვარ, რომ პასუხის დაბეჭდვას გაზ. „შინაური საქმეები“-ს რედაქცია არ ივარებს და თუ მაინცა-და-მაინც არ დაბეჭდავს, განა სხვა გაზეთები არ არის?! მაგრამ მე რამდენადაც გამიგია და მიცვნია გაზ. „შინაიურ საქმეებში“ სტატიები არ არიან ცუდნი და ხან კი სწორეთ სათაკილო ცნობებია რამოდენიმე მღვდლის მოქმედებიდამ აწერილი. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამით სამღვდელოებას ამცირებდეს ვინმე, არამედ იმას, რომ ხდება ესეთი საქციელი ზოგიერთი მღვდლისაგან და არ უნდა ჩავდიოდეთ მას, თუ გვინდა, რომ ხალხისა და მთავრობის თვალში არ ვიყოთ სამარცხვინო. იქ, გაზეთში, პირადობას არავინ აცხადებს, მისთვის რომ საზოგადოების წინ კი არ გააშაოს ჩამდენი ცუდი საქციელისა, არამედ ჩააგონოს აღარ ჩაიდინოს მსგავსი საქციელი, გასწორდეს და დაუახლოვდეს თავის სამსახურის იდეალს.

ზოგნი წმიდა მამანი რომ ბრძანებდენ გაზეთში ნუ გვლანძღავენო, რა ლანძღვა-იქნება, რომ კაცმა, აღნიშნოს რაც სრული ჭეშმარიტებაა? ნუ ჩაიდენ ცუდს და არ იქნები გალანძღული. განა ლანძღვა იქნება, მაგალითად, კაცმა რომ აღნიშნოს იმ დღესვე, ე. ი. 16 აპრილს, ორი მღვდლის ჩადენილი საქციელი? რომ არ ვსთქვა არ შემიძლია. კრება დაიშალა პირველი საათი იქნებოდა. წავედით ჩვენ-ჩვენ სახლებში. ავედი ერთ მაღლობ ქედზე და დავინახე, ორი კაცი ზის აღმართის გამთავეს. რომ მიუახლოვდით ერთმა მათგანმა გვკითხა მღ. ლ. კ—ე ხომ არ მოდისო. ჩემმა თანამგზავრებმა უთხრეს, ეგ მღვდელი დუქანში ზის და სადილობსო და ამასთანავე გამოკითხეს მიზეზი და ვინაობა. მან თავის ვინაობა უთხრა და დაუმატა: დღეს დილაზე ბოვშის მონათვლა მინდოდა, ავათ მყავდა, ვთხოვე ჩემს მღვდელს მისი მონათვლა შემპირდა, მაგრამ აღარ მობრძანდა. გავიგე მერმე რომ აქ კრებაში წამოსულიყო, რა ჯანი იყო წამოვედი, ვნახე მღვდელი, მაგრამ ასე მითხრა: შენ მატყუებ, ბოვში ავათ არ არისო, ახლა არ მცალიაო აქედგან სხვაგან მივალო. მერმე ბლაღოჩინს შევატყობიე და მან ამ მღვდელს უბძანა, რომ წამყოლოდა. წამომყვა და მითხრა: „ადი იმ სერზედ დამიცადე და მოვალო.“ ეხლა ამოდენა ხანი აქ ვზივართ და, როგორც ამბობთ, ის დუქანში დამჯდარა. დღეს აღარ წამოვა, არ ივარგებს ისევ ბლაღოჩინთან უნდა გავსწიოვო. ეს სთქვა და დაეშვა საწყალი დაღალული კაცი ქვევითკენ. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ცუდია და არასაკადრისი მოძღვრისაგან, თუ მართლა ისე იყო, როგორც იმ კაცმა აგვიწერა. განა საჭირო არ არის ასეთი ფაქტები აიწეროს გაზეთში?

დამსწრე.

შემოწირულება

ბაგრატის ტაძრის ნაშთის დაცვის სასარგებლოთ.

კომიტეტი ულრმეს მადლობას უძღვნის იმ პირთ, რომელნიც გულითად მოეკიდენ აღნიშნულ საქმისათვის ფულის მოგროვებას და აგრეთვე ყველა ქვემო აღნიშნულ შემომწირველთ.

სია შემომწირველთა: მღ. პ. ყიფშიძისაგან

შემოვიდა 27 მან. და 11 შაური, (ნაცნობთა შორის მოგროვებული), სია. თ. ა. ს. წერეთელი 3 მან., ორ ორი მანეთი: ს. ჭოლოშვილი, მღ. პ. მ. ყიფშიძე, მ. კაპანაძე 1 მან., და 10 შაური, თითო მანეთი: თ. ა. დ. წერეთელი, თ. ბ. წერეთელი, კნ. მ. წერეთელისა, თ. პ. აბაშიძე, კ. აბდუშელიშვილი, კ. ჯაფარიძე, კ. ჩაჩანიძე, ვ. აბრამიშვილის ასული, ტ. თოფურია; ათ ათი შაური: მ. აბრამიშვილი, ი. ლამბაშიძე, ლ. აბრამიშვილის ასული, მ. პაჩუაშვილი, ა. მხეიძე, ნ. კევლიშვილი ა. კიკნაძე, ი. ცქიტიშვილი, ა. სურმავა, შ. კარაბაქი, ს. ლაბაძე, კ. წულიკიძე, ი. გოდაბრელიძე, კნ. ტ. წერეთლისა, ი. მოსიაშვილი, ორ ორი აბაზი: პ. ბაკურაძე, და ი. იკობაშვილი, ა. ქამუშაძე 1 აბაზი. და ი. ლალიაშვილი, 1 შაური. ბლაღ. ი. წერეთლისაგან—13 მან., და 2 შაური; საბლაღოჩინოში შეგროვებული. სია: ბლ. ი. წერეთელი 2 მან., თითო მანეთი: მღ. გ. ტყემლაძე, მღ. ი. მაჭარაშვილი, მღ. ს. მაჭარაშვილი, მღ. ნ. ჩაჩანიძე; ათ ათი შაური: მღ. ი. ზაბახიძე, ა. ლომიძე, მღ. ი. წერეთელი, მღ. ა. ნოზაძე, მღ. ი. ტყემლაძე, მღ. ბ. გაფრინდაშვილი მღ. დ. ლოსაბერიძე, მღ. პ. წერეთელი, მღ. ტ, მესხი. მღ. გ. წერეთელი და მღ. ვ. წიქვაძე; მღ. ზ. წერეთელი სამი აბაზი. მღ. ა. კვანტრიშვილისაგან 5 მან., და 10 შაური (მრევლში მოგროვებული) სია: მღ. ა. კვანტრიშვილი 1 მან., ათ ათი შაური: ვ. ჩამკვეტაძე, ბ. სვანიშვილი, ლ. არაბიძე, პ. ალავიძის ასული, ა. გუნცაძისა, ფ. მუალიძე; თითო აბაზი: ქ. გუნცაძე, ე. სვანიშვილისა, დ. გაბრიჭიძე, ს. სვანიშვილის, თ. კვანტრიშვილი, ორ ორი შაური: ი. მხათაძე, ა. გაბრიჭიძე, რ. სვანიშვილი, ს. გაბრიჭიძე, დ. ვარდოსანიძე.

ბლ. მ. უკლებასაგან 5 მან. და 14 შაური (საბლაღოჩინოში შეგროვებული). სია: ათ ათი შაური: ბლ. მ. უკლება და მღ. ი. უკლება: ორ ორი აბაზი: მღ. ლ. რობაქიძე, მღ. ი. სალაძე, მღ. დ. ბარათაშვილი, მღ. ნ. რობაქიძე, დ. ხუციშვილი 7 შაური; ექვს ექვსი შაური: მღ. ი. დოლონაძე, მღ. ვირსალაძე, თითო აბაზი: მღ. დ. სალაძე, მღ. რ. ჭირაქაძე, მღ. ა. ყიფშიძე, ა. ხუჯაძე, მღ. ს. ბურჯანაძე 5 შაური; სამ სამი შაური: მღ. მ. რიჟამაძე, კ. არსენიშვილი, მ. გიორგაძე, ნ. იერზალი, დ. ბარათაშვილი.

ბლ. ი. მარგიანისაგან 13 მან., და 14 შაური (საბლაღოჩინოში შეგროვებული); სია. ბლ. ი. მარგიანი 2 მან., თითო მანეთი: მღ. ს. დაშნიანი, მღ. მ. თაგვაძე, მღ. დ. ახვლედიანი, მღ. ალ. ჩაკვეტაძე, მღ. ლ. ირემაძე; ათა ათი შაური: მღ. კ. ბურჯანაძე, მღ. ა. ჩარკვიანი, მღ. ა. კოპალიანი, მღ. დ. გორდულაძე, მღ. ე. სვანიძე, მღ. პ. ახვლედიანი, მღ. დ. ომიაძე სამი აბაზი, ხუთ ხუთი შაური: მღ. ა. გოლეთიანი, მღ. ი. თაგვაძე, მღ. ი. ჭაბუკიანი, მღ. ი. ყურაშვილი, მედ. ტ. დაშნიანი; თითო ბაზი: მედ. ვ. თაგვაძე, მედ. ი. კოპალიანი, გედ. ა. ჩიქოვანი, ი. ფრუიძე, მედ. ი. ახვლედიანი; ორ ორი შაური: მედ. მ. კოპალიანი და მედ. ე. სვანაძე; მედ. ე. გოლეთიყნი 6 შაური და ზ. კოპალიანი სამი შაური.

ა. გორგაძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ზღუდისათვის კეთილ-ინებეს და სიამოვნებით შემოსწირეს თავისი წვლილი შემდეგმა პირებმა: ბარის სახალხო ორკლასიან სასწავლებლის გამგემ სანდრო ამირეჯიბმა 1 მან., ამავე სასწავლებლის მასწავლებელმა დავით სუპატაშვილმა 50 კაპ., ბარის საზოგადოების მამასახლისმა სიმონ კერვალიშვილმა 1 მან., ამავე საზოგადოების მწერალმა ჰარმენ ბურდილაძემ 1 მან., გლეხმა ლუარსაბ ელისესძე გიორგობიანმა 1 მან., და ფერშალმა იაკინთე მასხარაშვილმა 50 კაპ., სულ შეგროვდა ხუთი მანეთი, რომელ ფულსაც ამასთანავე გაახლებთ და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ კუთვნილებისამებრ; შემომწირველთა ვინაობა კი გთხოვთ თქვენის პატივცემულის

გაზეთის „შინაური საქმეები-“ს ერთ ერთ №-ში გამოაცხადოთ.

სამთისის წ-ის გიორგის ეკლესიის მღვდ. ივლიანე ჩლაიძე.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენი გაზეთის მახლობელ №-ში.

„შინაური საქმეების“ მე 8 №-ში მოთავსებულია წერილი სოფელ დედალაურიდან, ვილაც როსტომა პაპავასი. ვინც წაიკითხავს ამ წერილს აშკარად მიხვდება, რომ აქ როსტომა პაპავა არაფერ შუაშია. ის საწყალი გლეხია, მას იმდენი, ესმის სწავლა-აღზრდის საქმის, რამდენიც მე ჩინური ენის მესმის.—სწერს-კი! მე მიწუნებს, როგორც მასწავლებელს და ქებათაქებით იხსენიებს **ნატალია ბახტაძის ქალს.** ნატალია ღირსეული, ბეჯითი მასწავლებელი იყოო, მე-კი თურმე მასწავლებლათ არ ვარგვარ და უმეტეს დროს სწავლა-აღზრდის საქმეს კი არა, თურმე თავის კოხტაობას ვანდომებ. კამათი სწავლა-აღზრდაზე როსტომასთან არ ღირს. მე მასწავლებლობის ხარისხით როსტომაზე და მის მეგობრებზე უფრო მაღალი პირებიდანა ვარ დაჯილდოებული და აქ ლაპარაკი იმაზე, რაზედაც როსტომა სწერს მეტად მიმაჩნია. მე მჯერა, ეგზამენატორთა შორის როსტომა რომ ყოფილიყო, მე მასწავლებლობის ხარისხს ვერ ვეღირსებოდი, მარა სჩანს ეგზამენის დროს ბედმა გამიღიმა, და როსტომის რისხვა თავიდან ამაშორა. ყოველ შემთხვევაში დედალაურიდან მოთავსებულ კორესპონდენციაში მოთხრობილ ამბებში როსტომას არ ვამტყუნებ, აქ მჯერა როსტომა სხვებმა აამოქმედა და სხვათა შორის ამ სხვებში ისიც არის, რომელსაც ჩემი მასწავლებლად დანიშვნის დროს მამა ჩემს საქმის გაკეთება დაპირდა და საქმის გაკეთებაში საკმაოთ დიდი ფული მოთხოვა. სამწუხაროა, რომ ასეთმა ბნელმა ხალხმა შეცდომაში შეიყვანა თქვენი **პატივცემული რედაქცია** და ჩემსკენ უმართლოდ ეს ტალახი ასროლია.

ნინა ჯალაღანია.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

სამხატვრო სახელოსნო

ყირიაკოვისა

ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევერს, ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინიდისიერათ.

ფასები ნახატების ღირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არა აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევერს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსების ნდობით.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან კაზაკოვის ქუჩა № 17.

ქ. ქუთაისში, სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის შესახვევში სახლი № 17.